საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№1989 2013 წლის 19 დეკემბერი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №2/4-ში მდებარე ნაგებობის (აუზი), არასაცხოვრებელი ფართობის და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 აგვისტოს №436 განკარგულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების ცვლილების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „მოვატ საქართველოს" შორის 2007 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ხელშეკრულების პროექტის მოწონებისა და შპს „მოვატ საქართველოს" მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „მოვატ საქართველო“ გათავისუფლდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „მოვატ საქართველოს" შორის 2007 წლის 27 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაში ამ განკარგულების

4/32566

49341/01
23 12 2013წ
4

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

4-2

მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების შეტანის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული ან/და დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდისგან, იმ პირობით, რომ შპს „მოვატ საქართველო" შეასრულებს ამ განკარგულების მე-2 პუნქტით დადგენილ საპრივატიზებო პირობებს.

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" (N1037- Iს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შპს „მოვატ საქართველოს" განესაზღვროს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №2/4-ში მდებარე ნაგებობის (აუზი), არასაცხოვრებელი ფართობის და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 აგვისტოს №436 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ-დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებისაგან განსხვავებული შემდეგი საპრივატიზებო პირობები:

ა) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „მოვატ საქართველოს" შორის 2007 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, არაუგვიანეს ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 42 (ორმოცდაორი) თვისა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №2/4-ში შექმნას, მოაწყოს და განავითაროს (მათ შორის, აღნიშნული მიზნებისთვის შეიძინოს ქონება) სავაჭრო ცენტრი (საერთო ფართით არანაკლებ 18 000 (თვრამეტი ათასი) კვ.მ, მათ შორის, სავაჭრო და მომსახურების სივრცე, საერთო სარგებლობის ფართები, სარდაფი და მრავალსართულიანი ავტოსადგომი) (შემდგომში - სავაჭრო ცენტრი), სავაჭრო ცენტრის შენობაში ინტეგრირებული მეტროს სადგურით (შესასვლელი) შემდეგი ეტაპების მიხედვით:

ა.ა) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „მოვატ საქართველოს" შორის 2007 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ,

ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6(ექვსი) თვისა, მშენებლობის ნებართვის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულება;

ა.ბ) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „მოვატ საქართველოს" შორის 2007 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, არაუგვიანეს ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 (თექვსმეტი) თვისა, სავაჭრო ცენტრის მშენებლობის დაწყება;

ა.გ) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „მოვატ საქართველოს" შორის 2007 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, არაუგვიანეს ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 42 (ორმოცდაორი) თვისა სავაჭრო ცენტრის მშენებლობის, შექმნის, აღჭურვის და განვითარების დასრულება;

ბ) ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესრულების უზრუნველსაყოფად არანაკლებ 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება;

გ) ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 43 (ორმოცდასამი) თვის ვადაში სახელმწიფოს საკუთრებაში ქ. თბილისში რუსთაველის გამზ. №2/4-ში მდებარე მეტროს ფუნქციონირებისათვის შესაბამისი სტანდარტებით კეთილმოწყობილი არასაცხოვრებელი 1315.47 კვ.მ ფართობის (სარდაფი 615.47 კვ.მ და პირველ სართულზე 700 კვ.მ - სიმაღლით არანაკლებ 4 მ-ისა, ოთახების შესაბამისი განლაგებით და ავტონომიური (ცალკე) შესასვლელით რუსთაველის გამზირის მხრიდან) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ გადაცემა, რომელიც უნდა იყოს თავისუფალი ნებისმიერი მოთხოვნისგან, უფლებრივად უნაკლო და დაუტვირთავი;

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
L.E.P.L. NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY
დოკუმენტი რეგისტრირებულია საქმის წარმოების სამსახურში